პროლეტარებო შეერთდით ყველა ქვეყნისა!

წითელი ჯომარდი
ლ. შ.

გაზეთი გამოდის კვირაში ორჯერ მასალები მიიღება რედაქც. 9—3 საათ. ყოველ დღე. რედაქ. მისამ.: საპიორ. ქ. № 30. მეორე სართული.

ფასი 5000 მანეთი.

ხუთშაბათი 13 ივლისი 1922 წ.

საქართველოს შეერთებული ბრიგადის პოლიტგანყოფილების ორგანო

№ 62

მგლები გვიღმუიან.

რუსეთის თვითმპყრობელობის დანგრევამ და მშრომელთა სახელმწიფოს დამკვიდრებამ ძილი დაუფრთხო ბურჟუაზიულ ქვეყნებს. მეხუთე წელია, რაც საბჭოთა რუსეთს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკებთან ერთად, გარს ეხვევიან იმპერიალისტური სახელმწიფოები ანტანტას მეთაურობით დ ლამობენ მის შთანთქვას

მაგრამ მშრომელთა სახელმწიფო, ვით სალი კლდე აბობოქრებულ ოკეანეში, შეუდრეკლად სდგას თავის ადგილას და განაგრძობს მოგერიებას მტრების ურიცხვ ჯარებისა. მტრები მიმართავენ ყოველივე საშუალებას, რათა მშრომელთა მსოფლიოს მანათობელი ცეცხლი-საბჭოთა ქვეყანა, ჩააქრონ...

ისინი გველაპარაკებიან ხან თოფ-ზარბაზნებით, ხან კი დიპლომატიური ენით.

მაგრამ მათ საპასუხოთ ჩვენც მზათა ვართ ყოველთვის ჩვენი ძლევამოსილ წითელ არმიით და პროლეტარული დიპლომატიით.

განსაკუთრებით მტრულათ არის ჩვენთან განწყობილი საფრანგეთი, რომლის ბურჟუაზიამ საბჭოთა არსებობით ბევრი სიმდიდრე დაჰკარგა თვითმპყრობელ რუსეთის ვალების გადაუხდელობით დ რუსეთის ბაზრის თავის სასარგებლოთ გამოუყენებლობით.

ამ მტრობას ჩვენდამი იმპერიალისტური საფრანგეთი ანხორციელებს სხვა და სხვა საშვალებებით.

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ რუსეთში სამოქალაქო ომის ცეცხლის ერთი გამღვივებელთაგანი იყო საფრანგეთი.

მოვიგონოთ გენუას კონფერენციაზე საფრანგეთის წარმომადგენელი ბარტუ, რომელიც პირიდან ცოფს ყრიდა და გაგონებაც არ უნდოდა საბჭოთა რუსეთის ცნობის შესახებ...

იგივე საფრანგეთი ყოველ ძალ-ღონეს ხმარობს რუსეთის მეზობელი სახელმწიფოები გადაამტეროს რუსეთს.

არას დროს პოლონეთის მთავრობა მეგობრულათ არ უცქეროდა საბჭ. რუსეთს.

მაგრამ დღეს მისი მთავრობის ახალი თავმჯდომარე ბ-ნი სლივინსკი თავის დეკლარაციაში შეურიგებელ პოლიტიკის წარმოებას ჰპირდება თავის ხალს საბჭოთა რუსეთის მიმართ.

ის მიდის იმ გზით რა გზაზედაც ადგა მისი წინამოადგილე პილსუდსკი.

ჩვენ ღრმათ გვწამს, რომ ამ გზით სლივინსკის მთავრობა კისერს მოიტეხს და უბსკრულში გადაიჩეხება.

ეს ვაჟბატონი აშკარათ აღიარებს, რომ რიპალის ხელშეკრულება რუსეთ-გერმანიისა პოლონეთისათვის დიდ საშიშროებას წარმოადგენსო. ეს კიდევ ცოტაა.

საბჭოთა რუსეთის წინდადება განიარაღების შესახებ პოლონეთის მთავრობისაგან პასუხს ვერ იღებს. სამაგიეროთ პოლონეთის მთავრობა ამერიკისაგან იძენს სამხედრო გემებს.

ეს იმას ნიშნავს' რომ ჩვენი მტრები ემზადებიან. მგლები გვიღმუიან...

ჩვენ კი მათ ღმუილს შევეჩვიეთ.

არ გვეშინია.

ჩვენ მზათა ვართ.

სანდრო

ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

ირლანდიის დროებითი პარლამენტის არჩევნები დამთავრდა; ირლანდიის დროებითი კონსტიტუცია გამოქვეყნებულია. თითქოს უახლოვდება დასასრულს ის ტრაგედია, რომელიც რამოდენიმე საუკუნეა რაც გრძელდება და რომელსაც ეწოდება ბრძოლა ირლანდიის ხალხისა თავისი დამოუკიდებლობისათვის. თუმცა არჩევნების საბოლოო შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ ხმების წინასწარი დათვლა ცხადათ გვაჩვენებს, რომ ინგლის-ირლანდიის შეთანხმების მიამხრეთ ხვდა წილად გამარჯვება.

ეს შედეგი მოსალოდნელი იყო. იგი პირველ ყოვლისა შეიძლება ავხსნათ პსიხოლოგიურად. ქვეყანა დაიღალა სამოქალაქო სისხლისმღვრელი ომისაგან, ინგლისის დამსჯელ რაზმებთან ბრძოლისაგან და სურს ამ გარემოებიდან იხსნას თავი თუ გინდ ინგლისის მეფისათვის ფიცის მიცემის ფასითაც კი. და თუ გინდ იმ ფასით, რომ დუბლინის სამეფოს სასახლეში იცხოვრებს არა რესპუბლიკის პრეზიდენტი, არამედ მეფის მოადგილე, რომელსაც ექნება ისეთივე უფლებები, როგორც მაგალითად კანადის ან ავსტრალიის გენერალ გუბერნატორის. ამ დაღლილობის საუკეთესო გამომხატველი არის საოცარი აბსენტეიზმი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ირლანდიის დროებითი პარლამენტის არჩევის დროს და რომელიც აღწევდა ზოგიერთ რაიონებში 50—60 პროც.

მაგრამ არის ამ აბსენტეიზმში და პოლიტიკური ბრძოლების დამთავრების სურვილში კიდევ მეორე მომენტი, რომელსაც აუცილებლად აღნიშნავს ხოლმე ყველა ის, ვინც თვალყურს ადევნებს თანამედროვე ირლანდიის პირობების განვითარებას. ირლანდიაში ამდენხანს ხალხის მთელი ყურადღება მიპყრობილი იყო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისაკენ, რომლის დროსაც სრულიბით განზე გადადებული იყო სოციალური ხასიათის საკითხები. უკიდურეს ნაციონალისტური პარტიის შინ ფეინერების მეთაურები სრულებით არ აქცევდნენ ყურადღებას თავის სამშობლოს სოციალურ განწყობილებას: მათ სოციალური საკითხები თითქმის არ აინტერესებდათ, დღეს უკვე ცხადია, რომ ირლანდიის ნაციონალისტები მისდევენ რა სოლიდარობის კლასსიურ ინსტიკტს, გლეხობასა და ლენდ-ლორდის შორის ბრძოლაში, დადგებიან წმინდა და ხელუხლებელი კერძო საკუთრების დაცვის ნიადაგზე. ყოველ შემთხვევაში ძირითად, მიწის რეფორმას, რომელიც არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს იძულებითი ჩამორთმევის გარეშე, ისინი ისეთსავე კატეგორიულ წინააღმდეგობას უწევენ, როგორსაც ისინი თავის დროზე უწევდნენ ინგლისის მეფისათვის ფიცის მიღების საქმეს.

არა მეგობრული, რომ მეტი არა ვსთქვათ, დამოკიდებულება ირლანდიის მუშათა პარტიისადმი, მათზე ყოველთვის ბოლშევიკურ ბრძოლა საერთო მტრის დამჩაგვრელის, ინგლისის წინააღმდეგ, რომ პოლიტიკური და სოციალისტური ბრძოლა მწვანე კუნძულზე კონსტიტუციის გამოქვეყნებისა და ირლანდიის პარლამენტის მოწვევის შემდეგ, მაინც არ შეწყდება. პირიქით, იგი უფრო მეტის სიმკაცრით კვლავ განახლდება ახალი მოპირდაპირეთა შორის, სადაც პოზიციები და წინააღმდეგობანი უფრო მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული.

ირლანდია, მართლაც შევა თავისი ისტორიის გადამწყვეტ პერიოდში.

დეპეშები

გერმანიის ამბები.

რატენაუს მოკვლის შესახებ

ბორდო. 10 ივლისი (რადიო) პოლიციამ უნახა დაპატიმრებულ სტუდენტ-იუნკერს მონარქისტ რევენლოვის წერილები ერთ ერთ წერილში არის ცნობები იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც გადადგმული იყო ლიუდენდორფისა და რუსი მონარქისტების შეხვედრის მოსაწყობათ. მეორე წერილში ნათქვამია, რომ ერბარდმა პირდაპირი კავშირი გაბა მოსკოვთან გარდა ამისა დაპატიმრებულს უნახეს მისი ანგარიში მიუნხენში მოგზაურობისა ფონ-იაგოვის პროცესის დროს, რევენტლოვი გაიწვიეს პოლიციის პრეფექტთან.

დაპატიმრებანი.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო) ისპანიის გემის ბაქანზე დააპატიმრეს ორი მგზავრი. რომელთაც ბრალს სდებენ რატენაუს მკვლელობაში მონაწილეობის მიღებაში

ბორდო. 10 ივლისი (რადიო) პოლიციამ გამოიშკარავა ინჟენერ კაურიცის მონაწილეობა რატენაუს მკვლელობაში. დღევანდლამდის დაპატიმრებულია მკვლელობაში მონაწილეობისათვის 30 კაცი.

სოციალისტები მთავრობაში.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო) გაზ. „ფორვერტსის“ აზრით სოციალდემოკრატები თანახმა არიან ითანამშრომლონ სახალხო პარტიასთან თავრობის პოლიციაში, მაგრამ დამოუკიდებლებთან ერთად მოითხოვენ რეიხსტაგის დათხოვნას, დამოუკიდებლობის გაზეთ „ფრეიხეიტის“ აზრით, მხოლოდ რეიხსტაგის ახალ არჩევნებს შეუძლია არსებული კრიზისის გადალახვა კომუნისტური „როტე-ფანე“ მოითხოვს საერთო გაფიცვის გამოცხადებას, რომ გვლენა მოახდინონ წვრილ — ბურჟუაზიულ ჯგუფებზე, რადგანაც ეს უკანასკნელნი ეწინაღმდეგებიან ერთიანი ფრონტის შექმნას

მკვლელობის გასამართლება.

ნაუენი. 10 ივლისი (რადიო). ბერლინში სასამართლომ დამნაშავედ იცნო ნაბოკოვის მოკვლისა და მილიუკოვზე თავდასხმაში ტაბორიცკი, შებელსკი და ბორკი. ტობორიცკის მიუსაჯეს 14 წლის, შაბელსკისა და ბორკს 12 წლის იძულებითი სამუშაო.

კაპიტალიზმის სამეფოებში.

ვერსალის ხელშეკრულება.

მოსკოვი. 9 ივლისი (რადიო) ამერიკის რკინის გზელთა საზოგადოების კონგრესმა დაადგინა მიმართოს მთავრობას მოთხოვნილებით, აიღოს თავის თავზე ინიციატივა ვერსალის ხელშეკრულების გადასინჯვის დაწყების შესახებ.

„სიტყვის თავისუფლება.“

მოსკოვი. 9 ივლისი (რადიო). ჩიკაგოში პრნპაგანდის გამო 19 კომუნისტს მიუსაჯეს ხანგრძლივი დაპამრება.

ციმბირის ევაკუცია

მოსკოვი. 9 ივლისი (რადიო). (რობერტ სესილმა განაცხადა ინგლისის პარლამენტში, რომ ინგლისის მთავრობამ მიიღო ოფიციალურად ცნობა იმის შესახებ, რომ იაპონელებმა გადასწყვიტეს პირველ ოქტომბრისათვის მოახდინონ ციმბირის ევაკუცია.)

ბრაზილიაში.

მოსკოვი. 9 ივლისი (რადიო). ბრაზილიაში თავი იჩინა სამხედრო არეულობამ. ჯარის ნაწილი აუჯანყდა მთავრობას.

უკანასკნელ ცნობების მიხედვით აჯანყება საბოლოოდ ჩააქრეს. რიოდე ჟანეიროში გამოცხადებულია საალყო წესები.

გერმანიის მბეჭდავთა გაფიცვის შესახებ.

მოსკოვი. 9 ივლისი (რადიო). ბერლინის მბეჭდავთა გაფიცვის გამო შეჩერდა ფულის ნიშნების დამზადება, რომლის ნაკლებობასაც მწვავედ გრძნობენ გე-

რმანიაში. მთავრობამ მოლაპარაკება დაიწყო გაფიცულებთან ფულის ნიშნების ბეჭვდის განახლების თაობაზე, რაც აუცილებელია მთავრობისთვის ანგარიშების გასასწორებლად.

წითელ რესპუბლიკებში.

კომუნისტები ყირიმში.

მოსკოვი. 10 ივლისი (რადიო). სიმფეროპოლის ქალაქის ახალ საბჭოში ამორჩეულია 25 დელეგატი, მათ შორის 16 კომუნისტია. სრულიად ყირიმის საბჭოს დელეგატებად ამოირჩიეს უმთავრესად კომუნისტები.

პურის სესხი.

მოსკოვი. 10 ივლისი (რადიო). პენზაში პურის სესხზე ხელის მოწერა სავსებით იქნა დაფარული. არის მრავალი მოთხოვნილება პროვინციებიდან.

სამელიორაციო სამუშევარი.

მოსკოვი. 10 ივლისი (რადიო) დაღესტნის ოლქში სამელიორაციო სამუშევარით ამოშრობილ იქნა 20.000 დესიატინა მიწა და მორწყული 40000 დესიატ.

სამეურნეო ფრონტზე.

ხარკოვი 10 ივლისი (რადიო). ეკატერინოსლავიდან იტყობინებიან, რომ თუჯის ნაკლებობის გამო, ან დღეებში ბრიანსკის ქარხანაში აამუშავებენ სახლის მეორე ღუმელს, რომლის მოწყობაც უკვე დამთავრებულია, ამ ღუმელის ამუშავება უზრუნველყოფს თუჯით არა მარტო ეკატერინოსლავის მრეწველობას, არამედ დანარჩენ გუბერნიების წარმოებასაც.



წერილები სამხედრო გეოგრაფიიდან.

უნდა გავეცნოთ მეზობლებს.

ჩრდილოეთ კავკასია*)

ჩრდილოეთ კავკასია დაფარულია დიდი კავკასიონის მთებით, ამიტომ მას არ შეუძლია იყოს საომარ მოქმედების ასპარეზათ. ჩრდილოეთ კავკასიის აქვს მხოლოდ მნიშვნელობა ჯარის დაგროვების ბაზათ რომელიც იმოქმედებს ამიერ კავკასიაში. საომარი მოქმედების წარმოება შესაძლებელია მხოლოდ დაღესტანში და საჩეჩნეთში.

დაღესტანი.

დაღესტანს საზღვრავს სამხრეთ დასავლეთით დიდი კავკასიონის მთა.

ჩრდილოეთით ანდიის მთაგრეხილი სამხრეთით—მდინ. სამური და აღმოსავლეთით კი—კასპიის ზღვა.

ზედაპირის შენება დაღესტნისა არის მთიანი, იგი შედგება კლდე ღრიაჟელებისაგან სადაც მიმდინარეობენ ხეობებში ცელქი მთის მდინარეები.

ყველაზე შესანიშნავი მდინარეებია: ანდიის, ავარის, კაზიკუმუხის და ყარა, რომელიც შეერთებული ერთი კალაპოტით ქმნიან მდ. სულაკს.

ამ მდინარეებზე გასავალი ფონი ცოტაა. მათ მიმდინარეობას მიყვება მშვენიერი ვიწრო გზებიც.

ზღვის პირული დაღესტანი წარმოადგენს ვაკე ადგილს, რომელიც მიყვება კასპიის ზღვის ნაპირებს, იგი დაფარულია მშვენიერი ტყეებით და უფრო ხელმისაწდომი საომარ მოქმედებისათვის.

მცხოვრებნი.

დაღესტანი დასახლებულია მრავალი სხვა და სხვა ტომის ხალხით, რომელსაც საერთოთ ლეკებს ეძახიან. ისინი მუსულმანებია (სუნიტის) სარწმუნოებას აღიარებენ, ქვეყნის სიმკაცრემ და სიღარიბემ შექმნა ლეკები მეომარ ხალხათ, ზღვის პირულ დაღესტანში ლეკებს გარდა ცხოვრობენ თათრები და კუმიკები.

ზღვის პირულ დაღესტანში არის გაყვანილი რკინის გზა, შესაძლოა აქ მიწის დამუშავება და ამიტომ აქაური მცხოვრებნი მიწის დამუშავებას მისდევენ. მთიულეთ დაღესტანში ხალხი მთებსა და კლდეებში ცხოვრობენ, შენობებს ქვისაგან აშენებენ, თვითეული აული წარმოადგენს ციხე-სიმაგრეს.

ისინი შეერთებულია ვიწრო გზებით რომლებიც კლდეებზეა გაყვანილი.

მცხოვრებთა საქმიანობა.

ამ ქვეყნის ბუნების სიმკაცრე საშუალებას არ აძლევს მცხოვრებთ მიწის დამუშავებისის, ამიტომ ისინი უმეტეს ნაწილად მისდევენ მეჯოგეობას. აქაური დათესილი პური ნახევარ წელიწადს თუ ეყოფათ მცხოვრებთ. ზღვისპირული დაღესტნის მცხოვრებნი, როგორც წინად მოგახსენეთ უმეტეს ნაწილად მისდევენ მიწის დამუშავებას, თავისი დათესილი პური მცხოვრებლებს ყოველ შემთხვევაში ყოფნით. ჯარი, რომელიც მოხვდება დაღესტანში შეიძლება საკლავების შოვნა და ხორცით ყოველ შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება.

გზები.

დაღესტანში უმეტეს ნაწილად მთის პატარა ვიწრო გზებია, სადაც შეიძლება მხოლოდ კურტნიანი ცხენებით გავლა და უმეტეს ნაწილად საფეხოსნო გზებია.

შესანიშნავია დაღესტანში მხოლოდ ორი გზა;

1) კაიაკენთის გზა, რომელიც მიყვება დეშლაგარს, ლევაშს, ხოდჟალ მახს, კარადაგას ხუნზახს და ბოტლიხს, მერე საჩეჩნეთისაკენ მიდის რკინის გზამდე. ეს გზა საურმეა.

2) სახენისის, რომელიც გადადის ვანტლიაშეთის უღელტეხილზე, მიდის კარადაგზე, ხუნზახზე, ბოტლიხზე და შემდეგ თემირხანშურაზე და პეტროვსკზე. ეს უკანასკნელიც გზაც საურმეა.

ამას გარდა ზღვისპირულ დაღესტანში არის გაყვანილი რკინის გზა, რომელიც აერთიებს ამიერ კავკასიის ჩრდილოეთ კავკასიის რკინის გზებთან.

შესანიშნავი სოფლები და ქალაქები დაღესტანისა არის შემდეგი: აულები ხოდჟალ მახი, ხუნზახი, ბოტლიხი, კუმუხი, გუნიბი (მთიულეთ დაღესტანში).

ზღვის პირულ დაღესტანში არის ქალაქები: თემირხანშურა. დერბენტი და პეტროვსკი.

ამ ქალაქებშია საბჭოთა დაწესებულებანი დაღესტნის საბჭოთა რესპუბლიკისა. შესანიშნავ სიმაგრეებს წარმოადგენს შემდეგი ადგილები: ხუნზახი, გუნიბი, ახტი. კარადაგი და გეორგიევსკი.

(შემდეგი იქნება)

ალ. გორ—ძე.

---

*) ნახელმძღვანელები კარნაუხოვით.
ავ.

სამხედრო გამოჯეკვა წით.-არმ. წ.-პ. სკოლაში.

(გაგრძელება).

წინა წერილში მე შევეხე, რომ ჩვენს წითელ ჯარში უნდა იქნენ გაგზავნილნი ისეთი პედაგოგიური ძალები, რომლებთაც ექნება აუცილებლად სამხედრო სტაჟი როდესაც მე სამხედრო სტაჟის საკითხს ვეხები შეიძლება ზოგიერთს ეს არ მოეწონოს, მით უმეტესს ისეთებს, რომლებსაც სამხედრო საქმე არამც თუ გათვალისწინებული არ აქვთ, პირიქით ვერც კი გრძნობენ ალბათ იმის საჭიროებას. ვიმეორებ სამხედრო გამოჯეკისათვის საჭიროა დახელოვნებული მასწავლებლები, რომლებიც შესძლებენ ჯარის ერთეულში ისეთი სკოლის შექმნას, რომელიც სამხედრო გამჯეკავსიან და საქმესთან ახლოს იდგომება. ამის შესრულება კი, ჩვენ შეგვილია მოვითხოვოდ სპეციალისტების გამოძებნა ჩემის აზრით შეიძლებოდა თვით პედაგოგიურ ძალებშიდაც: იმპერიალისტური ომის წყალობით, რომელსაც აწარმოებდა მეფის რუსეთი ბევრს სახალხო მასწავლებელს შეასწავლა სამხედრო საქმე, რომლებიც ჩემის აზრით გამოდგებოდა ასეთ საქმისათვის. თვით წითელ-არმიელთა რიგებშიაც მოიპოვება მყოფი სახალხო მასწავლებლები, და აგრეთვე ისეთი კანდიდატები, რომლებიც შესძლებდენ მცირეოდენი მომზადების შემდეგ გაეწიათ მასწავლებლობა. რასაკვირველია, შეიძლება ჩვენ ვერ შევლოთ ასეთი ძალებით შევსება ჩვენი სკოლებისა, მაგრამ ისიც თუ თითო ოროლა მაინც გვეყოლება ჯარის ერთეულებში. მათაც შეძლება ექნებათ ცოტათ თუ მაინც გამოასწორონ ის ნაკლი, რომელსაც დღეს ჩვენ სკოლაში ვხედავთ, ვიმეორებ, ამ გარემოებას კარგი ხანია რაც რუსის წითელი არმია აქცევს ყურადღებას, და ჩვენც მათ მაგალითს მივბაძოთ.

ყოველივე სამხედრო მოთხოვნილება. უნდა იქნეს შესრულებული სკოლის მოწაფე წითელ-არმიელების მიერ, მათ უნდა იცოდნენ, რომ ისინი წითელი მხედრები არიან და სასკოლო დისციპლინასაც სამხედრო წესრიგთან შეფარდებით უნდა ასრულებდენ.

ყველა ჯარის მასწავლებელი სამხედრო პირია იგი თუ სამოქალაქო სკოლისა უნდა ცდილობდეს შეუფარდოს თავისი სკოლის დისციპლინა სამხედრო გამოჯეკვის საქმეს, ამით მას დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია საერთოდ სამხედრო საქმისათვის და დისციპლინისათვის, ურომლისათაც ჯარის არსებობა შეიძლებელი ხდება.

საჭიროა აგრეთვე მასწავლებელი მართავდეს ხშირად ისეთ საუბრებს სკოლაში, რომელიც ხელს შეუწყობს შეგნებული და რევოლიუციონურ წესრიგის გამტკიცებას ჩვენ ქართულ წითელ ჯარში. საჭიროა აგრეთვე სამხედრო გამოჯეკისათვის, რომ სკოლის მასწავლებელი

რა არის კომუნა?

გმირი პარიზის კომუნარები არიან უშუალო მახარობელნი რუსეთის მუშებისა, რომელთა აიღეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საჭე ხელში და ამიტომ პარიზის კომუნის ისტორიის ცოდნა სავალდებულოა ყველა შეგნებული მუშისთვის და ყველა მებრძოლი რევოლიუციონერისთვის.

პარიზის მუშებმა აიღეს ძალა-უფლება ხელში პრუსიასთან ომში დამარცხების შედეგათ, რომელშიაც ჩაითრია საფრანგეთი ნაპოლეონ მესამის დაპყრობითმა პოლიტიკამ.

უკვე საფუძვლებ მომპალმა საფრანგეთის იმპერიამ განიცადა სრული სამხედრო მარცხი ამ ომში—იგი დაინგრა როგორც ხუხულა და გამოცხადდა რესპუბლიკა.

ძალა-უფლება გადავიდა ბურჟუაზიის ხელში.

ყოფილი საკანონმდებლო კორპუსის პარიზელმა დეპუტატებმა შეადგინეს „ეროვნული თავდაცვის მთავრობა“.

ეს ბურჟუაზიული ხელისუფლება იძულებული იყო ქვეყნის დაცვის გულისათვის ჩაერიცხა ნაციონალურ გვარდიაში ყველა პარიზელი მოქალაქე, რომელსაც კი ჰქონდა უნარი იარაღის ტარებისა. აქ მუშები შეადგენდნენ უმრავლესობას.

ბუნებრივია, რომ ეს გარემოება ერთობ აწუხებდა ბატონ ბურჟუას.

შეიარაღებულ მუშებში ისინი ხედავდნენ თავიანთ ბატონობისადმი მუქარას. მაშინ, როდესაც გერმანელების ჯარი მოუახლოვდა პარიზს, საქმე იქამდე მივიდა, 31 დეკემბერს ნაციონალური გვარდიის მუშათა ბათალიონები აჯანყდნენ მთავრობის წინააღმდეგ, მაგრამ მთავრობამ შესძლო შეენარჩუნებია ხელისუფლება, თავის სიტყვისადმი ღალატით და წვრილ ბურჟუაზიულ ბათალიონების დახმარებით.

პარიზის დანებების შემდეგ, 1871 წ. 28 იანვარს, გარეშე მტერს ჩააბარეს ყველა ფორტები, ქალაქის გამაგრებულ ნაწილებს იარაღი აჰყარეს, პოლკებს ჩამოართვეს იარაღი და თითონ სამხედრო ტყვეებათ გამოაცხადეს, მაგრამ შეიარაღებული პროლეტარიატი ისევ იარაღქვეშ დარჩა იარაღით და ზარბაზნებით ხელუხლებელი და შეუდგა მოლაპარაკების გამართვას გამარჯვებულებთან. პარიზის ჩაბარების შემდეგ, პარიზის ბურჟუაზიული მთავრობის პირველი ცდა იყო, მუშების განიარაღება. ახალი მთავრობის მეთაური, დიდი გაწვრთნილი საქმის კაცი ტიერი, მიხვდა რომ სანამ პარიზელი მუშები შეიარაღებულნი არიან, მსხვილი მემამულეების და კაპიტალისტების ბატონობას მუდამ საფრთხე ექნება.

რა თქმა უნდა საფრანგეთის ბურჟუაზიამ სცადა. მისი მოქიშპე პროლეტარიატის განიარაღება. 18 მარტს ტიერმა უბრძანა რეგულიარულ ჯარის ნაწილებს, დაეკავებიათ მონმარტის სიმაღლეები ნაციონალურ გვარდიის არტილერიით, მაგრამ ჯარის კაცები დაუძმობილდნენ გვარდიელებს და მათთან ერთად დააპატიმრეს გენერალი ლეკონტი და ტომა, რომელნიც შემდეგ დახვრიტა ბრბომ.

ტიერის მთავრობა გაიქცა 18 მარტს პარიზიდან ვერსალს და პარიზის სრულუფლებიან განმკარგულებლათ დარჩა, ნაციონალური გვარდიის ცენტრალური კომიტეტი, რომელმაც საჩქაროთ მოაწყო არჩევნები კომუნის გენერალური საბჭოსი.

პარიზის მუშათა კლასმა მიიღო დახმარება პარიზის წვრილ და ნაწილობრივათ საშუალო ბურჟუაზიის მხრივაც. ამ უკანასკნელებში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია რეაქციონური ეროვნული ყრილობის პოლიტიკამ, რომელმაც დაადგინა გადაეტანა სხდომები ადგილი ბორდოდან არა პარიზს, არამედ ვერსალს გააუქმა მორატორიუმის მოქმედება, (მორატორიუმი-ვალის გადახდის დროებითი შეჩერება) რომელიც გამოცხადდა პარიზთან ომის დროს. ეს ზომა პარიზის არა მდიდარი მოსახლეობის პირდაპირი ინტერესი იყო. ამათვის მორატორიუმი ვრცელდებოდა აგრეთვე საბინაო გადასახადზედაც და წარმოადგენდა ერთად-ერთ გამოსავალს იმ აწეწილ დაწეწილი მდგომარეობიდან, რომელიც ომმა გამოიწვია.

მეორე მხრივ ეროვნულმა ყრილობამ მოსპო ჯამაგირის გაცემა (დღეში 1 ნახ. ფრანკი) ჯარის კაცებზე, რაიც არსებობის საშუალებას უსპობდა პარიზის პროლეტარიატს, რომელიც უმუშევრობის გამო, თითქმის ერთავათ ნაციონალურ გვარდიაში მსახურებდა.

გასაგებია ამიტომ, კომუნაში თავს იყრიდა პარიზის მცხოვრებთა ფართო მასა, თუმცა ის (კომუნა) შესდგებოდა ან მარტო მუშებიან. ან მუშათა კლასის მომხრეებიდან.

კომუნის მაგალითმა გვაჩვენა, რომ პროლეტარიატი ყველაზედ უფრო დევ

ყოველთვის თავაზიანათ ექიდებოდეს ამხანაგ წითელ-არმიელებს, მასწავლებელი მათში უნდა ტრიალებდეს, უნდა იზიარებდეს მათ ჭირ-ვარამს, უკითხავდეს ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს უხსნიდეს უცხო სიტყვებს და თავისთავად ცხადია, ასეთ მასწავლებელს მოწაფე წითელ არმიელები უფრო შეიყვარებენ და მას მეტი პრესტიჟის დამსახურება შეეძლება და რასაკვირველია სკოლის საქმეც მაშინ წარმატებით წინ წავა. ჯარის მასწავლებელის გარეგნულ ფორმა-შეხედულებასაც უნდა მიექცეს ყურადღება, იგი ჯარში მსახურებს წითელი ჯარის მასწავლებელია და, მაშასადამე, წითელ-არმიელის ტანსაცმელით უნდა იქნეს შემოსილი, რომელსაც თავის ადგილზე შესაფერისი მნიშვნელობა აქვს. დღევანდელი ყაზარმა სკოლაა; და რაც შეიძლება ჩვენი ჯარის მასწავლებლები ამ ყაზარმას და სკოლას უნდა დაუახლოვდენ. ამის შემდეგ კი, ჩვენ შეძლება გვექნება ისე მოვაწყოთ ჩვენი ჯარის სკოლები, როგორც ეს უკვე არის სახელოვან რუსის წითელ ლაშქარში.

ალ. გორძე.



ჩვენს წითელ ჯარში

მშრომელთა ხმა.

სამოსწავლო ათასეული, დაბინავდა, თუ არა საზაფხულოდ ქ. სურამში, მაშინვე ადგილობრივ მშრომელ გლეხობასთან დასაახლოვებლად მოიწვია ფართო მიტინგი. მიტინგს უამრავი ხალხი დაესწრო. სამხედრო კომისარმა ამხ. ობოლაძემ, არმიელმა ჯაფარიძემ და ადგილობრივ ალმასკომის თავმჯდომარემ გააკეთეს მოხსენება; მომენტზე, საბჭოთა ხელისუფლების მნიშვნელობაზე გლეხობისათვის და მენშევიკების კონტრრევოლიუციონურ ზრახვებზე.

ამხ მომხსენებლებმა თავ-თავიანთი თემები მშვენივრად გააშუქეს, რის შემდეგ ერთხმად გამოტანილ იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

მოვისმინეთ რა მოხსენება სამოსწავლო ათასეულის სამხკომის ამხ. ობოლაძის საერთაშორისო მდგომარეობაზე, ჩვენ ვამბობთ, რომ მშრომელი ხალხის ინტერესების დამცველი არის ერთი პარტია კომუნისტებისა. მენშევიკები, რომლებიც ყოველ ფეხის ნაბიჯზედ ურცხვად ატყვილებენ მშრომელთ და უხვევენ მათ პროვოკაციის ბურუსში მუშათა კლასის გამცემი და გამყიდველია. წყევლა და კრულვა მათ, რომლებმაც თავისი კონტრრევოლიუციონური „მოღვაწეობა“ დააგვირგვინეს მით, რომ საქართველოდან გაიტაცეს დიდ-ძალი სიმდიდრე და ეხლა ევროპის ბურჟუაზიას დაუწყეს ფეხების ლოკვა. ჩვენ, სურამის რაიონის გლეხობი და მასთან ერთად ათასეულის არმიელები, უცხადებთ დიდ ნდობას საბჭოთა მთავრობას და ვფიცავთ მშრომელთა საკეთილ-დღეოთ სიკვდილამდის დავიცავთ ის.

ძირს მოღალატე მენშევიკ-მემარჯვენე ფედერალისტები და მათი ამყოლნი.

გაუმარჯოს საბჭოთა რესპუბლიკებს და მით რევოლიუციონურ შტაბს მესამე კომინტერნს.

გაუმარჯოს სოციალისტურ რევოლიუციას და მის ბელადებს ამხ. ლენინს და ტროცკის.

სამკორი: მეტრეველი.

ნაძირალები წით.-არმიელთა რიგებში.

ნათქვამია, ყველა ოჯახს ჰყავს თითო მახინჯიო და ეს სიტყვებიც სამწუხაროდ ჩვენს წითელ-არმიაზედაც ითქმის. აქ ზოგი წითელ არმიელების სახით ურევია ისეთი ვაჟბატონები, რომლებიც არ ჩერდებიან არავითარ ბოროტმოქმედების წინაალმდეგ: მაგ. როგორიც არის ქურდობა, ავაზაკობა და სხვა.

ამას წინად საინჟინერო ათასეულიდან ორი „არმიელი“ აყვა ვიღაცა გარეშე პირს და მოინდომეს ფულების წართმევის განზრახვით ერთ მოქალაქეზე თავდასხმის მოწყობა, მაგრამ იმედი არ გაუმართლდათ და ისინიც მილიციონერების მიერ დროზე იქნენ დაჭერილნი.

ეს კიდევ ცოტაა.

ამავე ათასეულის ზოგმა კიდევ ნაძირალა „წით.-არმიელმა“ ვიღაც გარეშე პირის დახმარებით ერთ ღამეს, როცა დაკეტილ ოთახებში გასაშრობათ იყო დაკიდებული საცვლები. გატეხეს ოთახი და საცვლები წაიღეს. ხუთი დღის შემდეგ ბოროტმომქმედნი შეპყრობილ იქნენ, მაგრამ დახეულ საცვლების მეტი არაფერი აღმოაჩნდათ. კარგების გაყიდვა უკვე მოესწროთ.

საჭირო იყო სასტიკი ზომების მიღება წითელ არმიელებისთვის ჩირქის მომცხებ ნაძირალების დასასჯელათ, მაგრამ სინამდვილეში დავინახეთ რომ ქურდი არმიელები რომლებიც მილიციის მიერ დასამწყვდევათ გამოგზავნილიყო საინჟინერო ათასეულის სატუსაღოში, ცოტა ხნის შემდეგ 29 ივნისს ყველა გაიპარნენ, რაიც აიხსნება იმ დაუდევრობით როგორიც ჩაიდინა ამ საქმის მიმართ აქ ხსენებულ გუნდის უფროსმა. საჭიროა უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ასეთი საქმის და ყოველგვარი ბოროტმოქმედებანი ძირშივე იქნეს ჩაკლული, რათა არავითარი ჩირქი არ მოეცხოს წითელ არმიელთა წმინდათა წმინდა სახელს და დანიშნულებას.

მეთვალყურე.

საღამო წარმოდგენა

შაბათს 8 ივლის მე-2-რე ქართულ შეერთ. საარტ. დივიზიონის ადგილობრივ თეატრში ადგილობრივ სცენის მოყვარეთა მიერ ამხ. გოგაშვილის რეჟისორობით დაიდგა „რაც გინახავს ველარ ნახავ“ (ვოდ. 3 მოქმედ.) მოქმედების დაწყებამდის გაიმართა ცეკვა-თამაში. გარდა წითელ არმიელებისა წარმოდგენას დაესწრო მრავალი მახლობელი სოფლელები. უნდა ითქვას, რომ წარმოდგენა ჩატარდა ძალიან კარგათ რამაც დიდათ დააკმაყოფილა დამსწრენი. განსაკუთრებით კმაყოფილი არიან მახლობელი სოფლელები, რომლებსაც არ აქვთ ადგილობრივათ ის კულტურული დაწესებულებები, რომლის საშვალებითაც შეიძლება ადამიანის გამოფხიზლება. დღეს წითელ არმიელების აქ ყოფნით იმათ საშვალება ეძლევათ ყოველ შაბათობით გაერთონ და გონივრულათ გაატარონ დრო. სოფლელები ხშირად გამოთქვამენ თავინთი კმაყოფილებას წითელ არმიელთა მიმართ. ასეთ ჩამორჩენილ სოფელში, როგორიც არის 1. მუხრავანი, „უჯარმა“ და სხვა, უნდა ითქვას რომ წითელი არმიელები დიდ კულტურულ როლს თამაშობენ. იწვევენ სოფლელებს ყველა საღამოებზე და წარმოდგენებზე რითაც დიდი სახელი და პატივი დაიმსახურეს მათში ჩვენს სცენის მოყვარეებს და მოწინავე მხედრებს განზრახვა აქვთ ყველა ჩამორჩენილ სოფლებში სისტემატიურად მართონ წარმოდგენები გაართონ და გამოაფხიზლონ ჩამორჩენილი სოფლები. ერთი დეფექტი უსათუოდ არის აღსანიშნავი. ხშირად ვხედავთ, რომ საკამანდო შემადგენლობა წარმოდგენის დროს წინა სკამეიდან აყენებს წითელ არმიელებს და თვითონ სხდებიან. რა თქმა უნდა ჩვენ ყოველთვის ვცემთ პატივს ჩვენს უფშემადგენლობას. მაგრამ არ არის საკადრისი, რომ რომელიმე წითელ არმიელი ბრძანების კილოთი აყენოს ადგილიდან რომელიმე უფროსმა და თვითონ დასხდეს ასეთი შემთხვევა სიძულვილს იწვევს წითელ არმიელებში უფშემადგენლებისადმი რასაც საჭიროა ბოლო მოელოს.

სამკორი: ევ. ყაჭეიშვილი

მუშაობა სოფლად.

სოფ. მუხრავანში მდგომ მე-2-რე საარტილერიო დივიზიონის პოლიტმუშაკები ამჟამად განსაკუთრებულის ენერგიით მუშაობენ გლეხების და მუშების წითელ ლაშქართან დაახლოების ასპარეზზე.

პირველი ნაბიჯი ამ მიზნით გადაიდგა ა. წ. 7 ივლისს დ. ხაშმში გამართულ მიტინგით.

მიტინგს დაესწრო დიდძალი საზოგადოება. თავმჯდომარეობდა სართიჭალის პარტკომის მდივანი ამხ. კობალაძე. მოხსენებით საერთაშორისო ეკონომიურ-პოლიტიკურ ვითარებაზედ, საერთაშორისო ბურჟუაზიის უკანასკნელ იერიშებზედ და გენუა-ჰააგის კონფერენციების შესახებ — გამოვიდენ ჩვენი დივიზიონის პოლიტ-მუშაკნი ამხ. მათითაიშვილი და ყაჭეიშვილი ორატორებმა ვრცლად გაარკვიეს მოხსენებები, ამათ მოუწოდეს დამსწრე საზოგადოებას, მუშებსა და გლეხებს წითელი ლაშქრის სახელით მხარი დაუჭირონ საბჭოთა ხელისუფლების ყველა ნაბიჯებს. მიტინგმა სასურველი გავლენა მოახდინა მსმენელებზე, რაც ნათლად გამოიხატა იმ ურიცხვ ტაშისა და „ვაშას“ ძახილით, რომლითაც დააჯილდოვეს მომხსენებლები.

მიტინგის შემდეგ ერთხმად იქმნა გამოტანილი შემდეგი რეზოლიუცია:

„ჩვენ დ. ხაშმის მუშებმა და გლეხებმა, მოვისმინეთ რა მოხსენება საერთაშორისო პოლიტიკურ-ეკონომიურ მდგომარეობაზედ, გამოვსთქვამთ ჩვენს ღრმა რწმენას, რომ მხოლოდ დიდი საბჭოთა რუსეთის გამარჯვება მოუღებს ბოლოს

ნილი და რევოლიუციონური კლასია თანამედროვე საზოგადოებისა. მას შეუძლია თავი მოუყაროს ყველა მშრომელს თავის დროშის ქვეშ და წაუძღვეს მათ წინ კაპიტალთან საბრძოლველათ. რასაკვირველია, მუშათა კლასის ამოცანაზე თანამედროვე შეხედულებით, კომუნამ ბევრი რამ გაუშვა მხედველობიდან, რაიც ჩვენის შემეცნებით აუცილებლათ უნდა გაკეთებულიყო.

კომუნაში უმრავლესობა ეკუთვნოდა ბლანკისტებს-გრძნობას და ინსტინქტის სოციალისტებს და პრუდონისტებს, რომლებიც ქადაგებდნენ წვრილ გლეხების და ხელოსნების სოციალიზმს.

გარდა ამისა პარიზის მუშათა მთავრობას მოუხდა ეწარმოებია გააფთრებული ბრძოლა მტრებთან. კომუნას ამ ბრძოლის დროს არ ჰქონია არავითარი შესვენება, რომ ხელი მიეყო საზოგადოებრივი აღმშენებლობისათვის.

ეს მით უმეტეს, რომ ერთობ დამახასიათებელია ის ცვლილებები, რომელნიც კომუნამ მოახდინა. მან ჩაუყარა საფუძველი მომავალ საზოგადოებას.

კომუნა იყო მუშათა კლასის სახელმწიფო, იგი ღრმად განსხვავდება ხელის უფლების ორგანიზაციათა ძველი ფორმებისაგან, რომელთა საშუალებითაც უმცირესობა მუდამ სდევნიდა და ავიწროებდა უმრავლესობას.

(შემდეგი იქნება).

თათბირი

საქართველოს შეერთებულ ბრიგადის პოლიტ-განყოფილების ბიურო-კოლექტივების და პასუხის მგებელ ორგანიზატორთა

(გაგრძელება)

პარტიულ მუშაობის სფეროში უჯრედის პრეზიდიუმმა უნდა ეცადოს უმთავრესად, რათა უჯრედის არც ერთი წევრი არ დარჩეს სრულიად მოკლებული რაიმე პარტიულ მუშაობას, თვალყური ადევნოს პარტწრეებში მეცადინეობის მსვლელობას, საწევრო გადასახადის შეკრებას, კრების ოქმების, პარტ-მუშაობის ჟურნალების და სხ.

აგრეთვე უჯრედი არავითარ შემთხვევაში არ უნდა ერეოდეს საკომანდო და ადმინისტრატიულ-სამნეო შემადგენლობის ადმ.-სამნეოფუნქციებში.

ამასთანავე კომუჯრედები განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა აქცევდენ იმ უპარტიო წითელ-არმიელთ, რომელნიც ახლო დგანან ჩვენ პარტიასთან, მაგრამ პარტიაში საბოლოოდ შემოსასვლელად საჭიროებენ ერთგვარ წინასწარ მომზადებას; უჯრედები უნდა იზიდავდენ მათ უჯრედის ყველა ღია კრებებზე და ჯგუფურ მეცადინეობაზე.

ამ ჟამად კომუჯრედები განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს აგრეთვე მობილიზაციით გაწვეულ კომუნისტების შორის მუშაობას, რა მიზნითაც პარტწრეების მოწყობის დროს ისინი გამოყოფილ უნდა იქნან ცალკე ჯგუფებად მათთან დამოუკიდებლათ სამეცადინოთ. მეცადინეობა უკანასკნელებთან უნდა სწარმოებდეს მობილიზაციით გაწვეულ კომუნისტთა მოკლევადიან კურსების პროგრამასთან შეფარდებით. მხოლოდ ახლად გაწვეულ ამხანაგების მიერ ამ პროგრამის შესწავლის შემდეგ შესაძლებელი იქნება მუშაობის წარმოება ჩვეულებრივ წესით.

6 ურთი ერთ დამოკიდებულება სამოქალაქო პარტორგანიზაციებთან.

თუმცა პოლიტგანყოფილებას და კავკასიის ცალკე არმიის პარტორგანიზაციებს ქონდათ კავშირი ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტურ ორგანიზაებთან, მაგრამ შემდეგში საჭიროა ამ კავშირის გაფართოება და გაღრმავება, რათა ის არ გადაიქცეს უბრალო ფორმალობად.

ამ მიზნის განსახორციელებლად საჭიროა რათა ყველა შემთხვევებში უცვლელად ტარდებოდეს ცხოვრებაში ამ საკითხზე ამიერკავკასიის კომუნისტურ ორგანიზაციების პირველ ყრილობაზე მიღებული რეზოლიუცია და ცალკე კავკასიის არმიის პოლიტსამმართველოს შესაფერი ცირკულიარი.

7. ა. კ. ხ. უჯრედების შესახებ.

ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ, საჭიროა განმარტებულ იქნას ყველა პარტიულ ორგანიზაციებისათვის, რომ უკანასკნელნი არსდებიან მხოლოდ სამხედრო სასწავლებლებთან.

ამასთანავე, ნაწილთა პოლიტორგანოებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ სამხედრო სასწავლებლებთან არსებულ რუსეთის ახალგაზრდათა კომკავშირის უჯრედების მუშაობას, რომლებთანაც მათ აქვთ გაბმული ესა თუ ის კავშირი და რომლებსაც ისინი უნდა დაეხმარონ ყოველგვარი პრაქტიკული რჩევით და სხვა.

8 ქალთა შორის მუშაობა.

ვინაიდან არ არსებობს სპეციალური კადრი კომუნისტ ქალებისა ცალკე კავკასიის არმიის ნაწილებში მყოფ ქალთა შორის მუშაობის საწარმოებლად, ამისათვის უკანასკნელთა შორის მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს ორი მიმართულებით.

ა) მუშაობა კომუნისტ-ქალთა შორის სწარმოებს საერთო პარტიულ მიმართულებით.

ბ) ხოლო უპარტიო ქალთა შორის მუშაობას აწარმოებენ სათანადო სამოქალაქო პარტორგანიზაციები, უკანასკნელებთან ნაწილების პოლიტორგანოთა და სამკომთა შეთანხმებით.

საერთაშორისო ბურჟუაზიის ბატონობას. ამიტომ ფიცს ვსდებთ საბჭოთა მთავრობის წინაშე რათა ყოველივე გამოძახილზედ მზად ვიყოთ შესაფერი წინაამდეგობა გავუწიოთ ბურჟუაზიის და მათი ლაქიების მიერ მოტანილ იერიშებს პროლეტარიატის და გლეხობის საკეთილდღეოდ.

ძირს ბურჟუაზია!

გაუმარჯოს პროლეტარიატის და გლეხობის წითელ ლაშქარს!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

განზრახულია ასეთი მიტინგები ჩატარდეს ყველა სოფლებში და აგრეთვე დივიზიონთან არსებულ თეატრალურ სექციის მიერ დადგმულ იქმნეს რევოლიუციონური შინაარსის პიესები.

სამხკორი **გ. მათ—ლი.**

კოოპერაცია ჯარში.

(ქუთაისის არჩევნები).

ჩვენი კოოპერაცია ფეხს იდგამს. ის თანდათან ძლიერდება, მაგრდება. პირველდაწყებითი ხანებში მან ბევრი დაბრკოლება იგემა. სამეურნეო მოქმედების ძირითადი მოთხოვნილებათა არ შესრულებამ ის იმდენათ დაასუსტა, რომ ჯერაც ვერ მოსულიერებულა, მიუხედავათ მიზანშეწონილი ზომების მიღებისა. საქ. მთლიანი სამხ. კოოპერ. ახალმა გამგეობამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია მომხმარებელთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ეს იმან დაიწყო მით, რომ ა. წ. მაისში მან დაარსა ნაწილებში პირველდაწყებითი კოოპერატიული ერთეულები. წინასწარამისა მოაწყო ნაწილებში კოოპერატიული ბიუროები და სარევიზიო კომისიები; მათთვის შემუშავებულ იქნა სათანადო ინსტრუქცია. ამჟამათ ჯარის ნაწილებში, სხვა და სხვა ალაგას დაარსებულია ხუთი კოოპერატიული დუქნები: პირველ ფლეგიონში, ძირითადი სამოსწავლო ათასეულში, საგაუბიცო დივიზიონის მეორე და მესამე ბატარეაში, ბრიგადის საავადმყოფოში და საინჟენერო ათასეულში. მათ მიეცით პირველდაწყებითი საქმისათვის თითოს ათათი მილიონი მანეთის საქონელი. ვაჭრობა წარმოებს კარგათ. ანგარიშების წარმოებას ხელმძღვანელობს თვით გამგეობა-ინსტრუქტორის მეოხებით. ვაჭრობას აწარმოებს კოოპერატივის ბიუროს ერთერთი წევრი. სარევიზიო კომისია უწევს ბიუროს დახმარებას და თვალყურს ადევნებს კოოპერაციის მოქმედებას საერთოთ. მიღებულ საქონელზე ნაწილის კოოპერაციისათვის პასუხის მგებელია კოოპერატიული ბიურო სამი კაცისაგან შემდგარი. კოოპერატივის დუქნის ნოქარი სამსახურის განრიგებისაგან თავისუფალია და ვაჭრობას აწარმოებს განსაზღრულ დროს.

მაგრამ უფრო მეტი მნიშვნელოვანი მუშაობა, რომელიც შეასრულა მთლ. სამხ. კოოპერატივის გამგეობამ გამოიხატება იმაში, რომ მან მოახდინა ახალი არჩევები ქუთაისის რაიონის კოოპერატივის გამგეობისა. არჩევები სწარმოებდა ქუთაისის ქართული ჯარის გარნიზონის ფარგლებში. ის ჩატარდა ფრიად დაინტერესებული ატმოსფერაში. ეტყობოდა, რომ წითელ არმიელები დიდის ყურადღებით ისმენდნენ ყოფილ გამგეობის მოქმედებათა ანგარიშს. არჩეული ახალი გამგეობა და სარევიზიო კომისია მაშინათვე შეუდგა თავის საქმეს. მოახდინეს საორგანიზაციო სხდომები, აირჩიეს როგორც გამგეობის ისე სარევიზიო კომისიის თავმჯდომარენი.

შექმნეს გეგმა მომავალი საქმიანობის და გაინაწილეს მუშაობა.

ქუთაისის რაიონის სამხ. კოოპერატივისათვის მისმა გამგეობამ მიიღო თბილისის ცენტრალურ გამგეობისაგან პირველ დაწყებითი საკომერციო მოქმედებისათვის ოთხმოცი მილიონი მანეთის სხვა და სხვა საქონელი და ათი მილიონი ნაღდი ფული. უწყებული საქონლის ნაწილი, როგორც ეს ქუთაისის გამგეობის თავმჯდომარის ცნობიდან სჩანს, უკვე განაღდებულია. ადგილობრივაც მოუპოვებია გამგეობას საკმაო კრედიტი. მას განძრახვა აქვს თავდაპირველათ პურის და ხორცის მიწოდების საქმე წითელ-არმიელებისათვის. თავისთავათ ცხადია, რომ ალლოალებულია სწორი: კოოპერაცია უნდა ემსახურებოდეს თავის წევრებისათვის პირველ საჭიროების სანოვაგეს და მოსახმარ საგნების მიწოდებას, ხელმისაწდომ ფასებში. ყველასათვის უდავოა, რომ დღეს წითელ-არმიელი განიცდის ბევრ გაჭირვებას. და თუ კი მთავრობის მიერ წითელ არმიაში ნება დართულია კოოპერაცია, როგორც ეკონომიური ორგანიზაცია, ცხადია, რომ წითელ არმიელებიც მთავრობის მიერ გაცემულ საფონდო მასალას მოიხმარენ პირველ მოთხოვნილების საქმისათვის და მით რამოდენიმეთ გაანელებს თავის გაჭირვებას. მაგრამ, როგორც გამოირკვა ადგილობრივ-ქუთაისში, იქ გარნიზონს ხორცი და პური ეძლეოდათ ოკას მომარაგების განყოფილებისაგან და კოოპერატივი მოკლებული იყო ღონის ძიებას ამ საქმისთვის ეხელმძღვანელებინა. მაგრამ გამგეობას აზრათ აქვს ეს საკითხი მოაწესრიგოს ახლო მომავალში.

ამნაირათ ახლათ არჩეული გამგეობა, როგორც ცენტრალური, ისევე ქუთაისის რაიონის განყოფილებისა თავიანთ გზას სწორეთ მისდევენ.

რამოდენიმეთ ამას დააბრკოლებს ჯერ ერთი ის, რომ წითელ არმიაში კოოპერაცია ახალი მოვლენაა და მეორეთ-კოოპერატორი-სპეცები აქ ნაკლებათ მოიპოვება. შეიძლება ითქვას, რომ თუ ხელსაყრელ პირობებს კოოპერაციაში სათანადო მიმართულება არ მიეცა, ეს პირობები გამოუსადეგარი დარჩება. ჯერცერობით კიდევ ის გვიწყობს ხელს, რომ პარტიული მობილიზაციამ წითელ არმიას შესძინა სამოქალაქო სამსახურიდან გამოყვანილი ამხანაგები, რომელთა შორის არიან კოოპერაციის საქმის მცოდნენი, როგორც მისი პრინციპების, ისე თვით ტეხნიკური მხარეებისაც.

ეს ძლიერ გვიწყობს ხელს. სავალდებულო ვადის წითელ არმიელებთა შორის კი ამნაირი მცოდნენი კოოპერაციისა ძალიან იშვიათი მავლენაა.

მესამე გარემოება, რომელიც მისაღებია მხედველობაში, როდესაც სამხედრო კოოპერაციაზე ლაპარაკი, ეს ისაა, რომ ეს კატეგორია მომხმარებელთა ძლიერ სუსტია ეკონომიურათ, ის ბევრს ვერ შესძენს თავის დუქანს და ამიტომ წითელ არმიაში დაარსებული კოოპერატიული დუქნები მხოლოდ ნელის ნაბიჯით მიაღწევს თავის წარმატებას, რაიც საერთოთ კოოპერაციის ნიშანდობლივი თვისებაა.

ე. გოგოლაძე.

გლეხი და ექიმი

(საუბარი ხოლერაზე).

(გაგრძელება)

ექიმი.... არა, არა, არაყი
მავნებელი რამეა,
არაყის მსმელს ქვეყანა
როდის მოუქამია.
იგი კუჭსა ასუსტებს
წვენს ხელს უშლის დენასა
და ზარალს მოგაყენებს
რაც ვერც უთქვამს ენასა.
გლეხი... მაშ კიბულის რა უჭირს
შიდ რომ დავდვათ ყინული
სუფთა არის რაკრაკა
კლდეში მოდის ბინული!*)
ექიმი... რაც გითხრა, მეგობარო,
გაუცეი გულია.
ყინულისა ხმარება
ამ დროს აკრძალულია.
იგი კუჭსა აგიშლის
მოგაყენებს წყენასა
და ამით ხელს შეუწყობს
სნეულების დენასა.
წყაროს წყალი სასმელათ
მართლაც რომ კარგია
მაგრამ ჭების უდუღრათ
ამისთვის არ ვარგია.
გლეხი... ჰო მაშ ხილი ცინცხალი
მგონი მისაღებია
იგი რომ არა გვავნებს
ეს კი გასაგებია.
ექიმი... ხილი თუ გაითალა,
გარე კანი გაცალა,
ან კარგათ გაიმდუღრა
მაშინ ხოლერის ძალა
ამით შესუსტდება,
აღარ მოაქვს ზიანი.
ყველაფერს სჯობს იხმარო
მჟავე მარილიანი
მჟავე წვენი ვიბრიონს
თუთქავს და უსპობს დღესა,
კარგათ დაიმახსოვრე
შენ ჩემო ძმაო ესა.
მლაშეს უნდა ერიდო
ნაყინსა და „პიშვებსა“,
ბაზარში გასაყიდლათ
რომ გამოაქვთ ბიჭებსა.
გლეხი... ბოსტნეულს რაღა უჭირს
მსურს მისი ხრაშახრუში,
მგონი სასარგებლოა—
ნიორი ოხრახუში.
ექიმი... ბოსტნეულსაც ამ დროსა
უფრთხილდი—გეყურება?
შეიძლება იმისაც
მტვერით გაბინძურება
და ვაიბა იმასთან
მუცელში ჩაგიწვება,
დაიჯერე ნათქვამი,
ჩემი ნუ გეექვება!
საზოგადოთ გახსოვდეს,
რომ სიფრთხილე გჭირია
ამითი აგშორდება
თავზე გასაჭირია.
გლეხი.. მადლობას მოგახსენებ,
მეტს ნუღარა მიცდები.
რაც მითხარი ყველაფერის
დახსოვრებას ვეცდები.
თავს უკრავს და მიდის.

ექიმი ელი.

---

*) ბინული—წყარო.

სასოფლო მეურნეობა

მეღვინეობა

რაც გინდა დაწმენდილი და საღი იყოს ღვინო, იმაში მაინც მოიპოვებიან ავადმყოფობის გამავრცელებელი არსებანი (ბაქტერიები). მოხვდება თუ არა ღვინოს სითბო, ეს ბაქტერიები სწრაფად იწყებენ გამრავლებას და ღვინოც ფუჭდება.

საზოგადოდ სითბოს და სიცივეს ღვინისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ თვითეულმა მევენახე-მეღვინემ აუცილებლად უნდა იქონიოს სითბოს გასაზომავი, რომელსაც ტერმომეტს ეძახიან, რომელიც ზომავს სითბოს-სიცივეს გრადუზებით.

თუ ღვინის სითბო არ აღემატება 10—12 გრადუსს ბაქტერიების ნასახები ვერ წამოიღებენ წელს და ღვინოში არავითარი ცუდი დუღილი არ დაიწყება. მაგრამ თუ იქ, სადაც ღვინო ინახება სიცხემ შეატანა და ღვინო გათბა, მაშინ ღვინის ავადმყოფობას თავიდან ვერ აიცდენთ. მომეტებული სითო ბაქტერიებს ამრავლებს და ღვინოს აფუჭებს.

ამიტომ ღვინო ისეთ ადგილას არ უნდა შეინახოთ, რომ სითბომ და სიცხემ შიგ ადვილად შეატანოს.

სხვათა შორის სარდაფებში შენახულ ღვინოს შეიძლება ამნაირად უშველოთ: კასრებს, სადაც ღვინოა მოკავებულ ღვინოს კი ძლიერ წაადგება თუ ჭურის თავზე რაც შეიძლება სქლა დააყრით ზევიდან ლერწს, ან ხის ტოტხბს და ზევიდან ბევრს ცივ წყალს დაასხამთ.

რაც უნდა დაწმენდილი იყოს ღვინო, მას მაინც აქვს ცოტა ლექი რომელშიდაც თავს ინახავენ ბაქტერიები. ამიტომ ბაქტერიების არსებობა რომ დროზედ გაიგოთ ეს ლექი ადრევე უნდა გასინჯოთ მიკროსკოპით. მაგრამ თუ მიკროსკოპი არა გაქვთ, მაშინ ღვინის ჭაშნიკი ძირიდან ამოყოლილი ლექის გარევით უნდა გააგზავნოთ მთავრობის მიერ მოწყობილ დაწესებულებაში (ლაბორატორიაში) სადაც ღვინოს გასინჯავენ, ცნობებს მოგაწოდებენ და ზომების მიღებას გირჩევენ. ასეთი ლაბორატორიები იმყოფება თბილისში, ქუთაისში, საქარის სანერგეში და სხვა.

კ. ბერ.

ლოიდ-ჯორჯი და პუანკარე.

ლოიდ-ჯორჯი: გამარჯობა შენი
ძმაო პუანკარე,
ლამის ბრაზით გავსკდე
დღე-ღამ ცრემლი ვღვარე.
მუსტაფა ქემალი
ცუდათა გვყავს ძმაო,
დღე და ღამე წითლდება
ცდა არის ამაო.
პუანკარე: მეც რას ვსტირი აბა
არის ხათაბალა,
ამდენ ბრაზით თავის
ლამის გასკდეს ქალა.
ლოიდ-ჯორჯი: საქმე ცუდათ მიდის
ვცურავთ სისხლის ზღვაში,
ჰაგაშიც ვმარცხდებით
პრაპალ დელა ნაში.

იონჯა.

ნება დართულია სამხედრო ცენ-ზურისაგან რედაქტორი ხ. ქურიძე